

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
სენატის გადაწყვეტილება №3/3, 27.02.2018

რექტორი  ი. შარაბიძე




სასწავლო პროცესის პროცედურა. საბაკალავრო სწავლების
საფეხური

ND 2-F04

შეთანხმებულია

იურიდიული და ადამიანური რესურსების

მართვის დეპარტამენტის უფროსი  რ. ყიფიანი

რექტორის მოადგილე  ა. კახიძე

შემუშავებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი  ლ. ჯაყელი



შინაარსი

1.	ნორმატიული ბაზა	3
2.	ტერმინები. განმარტებები. შემოკლებები.	4
3.	ძირითადი დებულებები	8
4.	სტუდენტის ხელშეკრულება	9
5.	აკადემიური კალენდარი და სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	10
6.	საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება	11
7.	ელექტრონული ჟურნალი	12
8.	შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზება, ჩატარება და სტუდენტთა მიღწევების შეფასება	12
9.	სასწავლო კომპონენტების განმეორებითი ათვისების წესი	13
10.	აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი	14
11.	სტუდენტის სტატუსის შეჩერება	15
12.	სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	15
13.	სტუდენტის სტატუსის აღდგენა	16
14.	სტუდენტთა მობილობა	16
15.	სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარება	17
16.	განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები-მოთხოვნები ჯანმრთელობასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე	18
17.	საბაკალავრო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ამ პროგრამებზე ჩარიცხული ბაკალავრების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმი	19
18.	საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, საჯარო დაცვა/განხილვისა და შეფასების წესი	21
19.	საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესი	22
20.	საბაკალავრო ნაშრომის შეფასება	24
21.	გავრცელების არე	26
22.	დანართი 1. საბაკალავრო ნაშრომის თავფურცელი	27

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაგუბრი ასლი თუ მას არ აქვს რეგიონული "აღრიცხვითი ეგზემპლარი". რეგიონული ასლზე დაიტანება პრიორიტეტული პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsua.edu.ge



1. ნორმატიული ბაზა

- 1.1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
- 1.2. საქართველოს განათლებისა მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ ND 1-01-09;
- 1.3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №19/ნ 2011 წლის 18 თებერვალი ქ. თბილისი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ ND 1-01-15;
- 1.4. ბრძანება N07/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ 29.01.2016;
- 1.5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №121/ნ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ ND 1-01-10;
- 1.6. ბრძანება №120/ზ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ ND 1-01-08;
- 1.7. სტუდენტთა რეგისტრაციის და მობილობის პროცედურა ND 2-F02;
- 1.8. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-O01;
- 1.9. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
- 1.10. დოკუმენტების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
- 1.11. ჩანაწერების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;
- 1.12. გამოცდების ჩატარებისა და შეფასების პროცედურა“ ND 2-F06;
- 1.13. საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება ND 2-P08;
- 1.14. ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დებულება ND 2-P09;

2. ტერმინები. განმარტებები. შემოკლებები.

ND 2-F04

სტატუსი:

რეგიონი № 2

რეგიონის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეგიონით „აღრიცხული ეგ უემპლარი“. რეგიონით ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



2.1. ტერმინები

- 2.1.1. **ბაკალავრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის - ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;
- 2.1.2. **ბაკალავრიატი** – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის;
- 2.1.3. **გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე და მიზნად ისახავს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- 2.1.4. **დამოუკიდებელი საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;
- 2.1.5. **ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა-საგანმანათლებლო პროგრამა**, რომელიც ხორციელდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას/დაწესებულებებს ან /და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის. აგრეთვე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან-უნივერსიტეტთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს-სამეცნიერო კვლევით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს-სამეცნიერო დაწესებულებას/საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას შორის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმების საფუძველზე და რომლის დასრულების შემდეგ უმაღლესი

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიით „აღიბული ეგ ზემოქართ“. რევიზიით ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge



- საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით და ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმების საფუძველზე გაიცემა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/ დოკუმენტები;
- 2.1.6. **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;
- 2.1.7. **მოზილობა**-სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობისათვის როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;
- 2.1.8. **მოდული** – სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას;
- 2.1.9. **საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;
- 2.1.10. **საზღვაო უმაღლესი განათლება** - უმაღლესი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საზღვაოსნო მეცნიერებებში სათანადო კომპეტენციის გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით;
- 2.1.11. **საზღვაოსნო მეცნიერებების სპეციალობები** - რომლებიც დასტურდება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით (საზღვაო ნავიგაცია, გემის მექანიკა, გემის ელექტრომექანიკა);
- 2.1.12. **საკონტაქტო საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;
- 2.1.13. **სასწავლო კომპონენტი** – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/ პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის "აღრიცხვითი უზღვევარო". რევიზიის ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsua.edu.ge



- 2.1.14. **სენატი**—ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- 2.1.15. **სტუდენტი** (აკადემიის სტუდენტი) – პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობისა და ბათუმის საზღვაო აკადემიის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს საზღვაო აკადემიაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;
- 2.1.16. **სტუდენტის სასწავლო დატვირთვა** – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;
- 2.1.17. **სწავლება-სწავლის მეთოდი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);
- 2.1.18. **ფაკულტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
- 2.1.19. **შეფასების კომპონენტები** – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);
- 2.1.20. **შეფასების კრიტერიუმი** – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.
- 2.1.21. **შეფასების მეთოდი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „აღრიცხული ეგზემპლარი“. რევიზიის ასლზე დაიტანება პრიორიტეტული პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge



ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ);

2.1.22. **შეფასების ფორმები** – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

2.1.23. **ხარისხის უზრუნველყოფა** – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას;

2.2. შემოკლებები.

2.1. **ND** – ნორმატიული დოკუმენტი;

2.2. **აკადემია** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

2.3. **სსიპ** - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

2.4. **ECTS** - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას.

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეგიონი „აღრიცხული ეგ ზემპლარი“. რეგიონი ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsua.edu.ge



3. ძირითადი დებულებები

- 3.1. სასწავლო პროცესი ერთიანი განუყოფელი ფუნდამენტალური პროცესია, რომელსაც კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს აკადემიის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი შეთანხმებულად და მისი მართვა მოიცავს შემდეგ ძირითად ასპექტებს;
- 3.2. სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლების პერიოდში მიღებული განათლების (ECTS კრედიტების) აღიარების პროცესების კოორდინირება;
- 3.3. საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;
- 3.4. ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ სტუდენტთა რეგისტრაციის, დოკუმენტების გაფორმების პროცესის კოორდინირება და სტუდენტური ჯგუფების ფორმირება; ადმინისტრაციული და სემესტრული რეგისტრაციის კოორდინირება;
- 3.5. სტუდენტების პირადი საქმეების, მონაცემთა ბაზის და რეესტრის წარმოება;
- 3.6. ცნობების, აკადემიური მოსწრების ბარათებისა და სხვა საჭირო დოკუმენტების გაფორმება;
- 3.7. აკადემიური კალენდრისა და სასწავლო დატვირთვის წლიური განაწილება;
- 3.8. საზღვაო აკადემიის აუდიტორიებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ცხრილის მიხედვით განაწილებისა და სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის უზრუნველყოფა.
- 3.9. სტუდენტთა დასწრებისა და მიმდინარე მოსწრების მონიტორინგი;
- 3.10. გამოცდების ჩატარებისა და სტუდენტის ცოდნის შეფასების, დამატებითი სემესტრის გავლის, აკადემიური ხარისხის მინიჭების, დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემის პროცესების კოორდინირება;

ND 2-F04

სტატუსი:

რეგიონი № 2

რეგიონის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეგიონი „აღრიცხული ეგზემპლარი“. რეგიონი ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsua.edu.ge



- 3.11. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით სასწავლო პროგრამითსწავლების წესის, მიღებული განათლების აღიარების სპროცესების მართვა;
- 3.12. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების განათლების უზრუნველყოფა;
- 3.13. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა;

4. სტუდენტის ხელშეკრულება

- 4.1. საზღვაო აკადემიაში ჩარიცხვისა და რეგისტრაციის პროცედურის გავლის შემდეგ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საზღვაო აკადემიასთან დებს ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლება-ვალდებულებები ორ მხარეს შორის.
- 4.2. ხელშეკრულების დადების ორგანიზაციულ მხარეს უზრუნველყოფს შესაბამისი ფაკულტეტი. ხელმოწერამდე ფაკულტეტი წარმომადგენელი ვალდებულია სტუდენტს ან არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში კანონიერ წარმომადგენელს აცნობს ხელშეკრულების ძირითად პირობებს;
- 4.3. სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სტუდენტს, ხოლო მეორე - დეკანატს და ინახება სტუდენტის პირად საქმეში. ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ფორმა განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე.
- 4.4. სასწავლო ხელშეკრულება შევსებული და ხელმოწერილი უნდა იყოს უშუალოდ სტუდენტის მიერ, ხოლო არასრულწლოვანების შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ;

ND 2-F04

სტატუსი:

რეგიზია № 2

რეგიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეგიზიის „აღრიცხული ეგზემპლარი“. რეგიზიის ასლზე დაიტანება პრიორიტეტული პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsua.edu.ge



5. აკადემიური კალენდარი და სტუდენტის სასწავლო დატვირთვა

- 5.1. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს.
- 5.2. ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 60 (ECTS) კრედიტს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
- 5.3. კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ საკონტაქტო საათების მიხედვით.
- 5.4. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.
- 5.5. ერთი კრედიტი (ECTS) აკადემიაში უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 26 ასტრონომიული საათის განმავლობაში და მოიცავს, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.
- 5.6. აკადემიური პროგრამის ცალკეული კომპონენტების განხორციელების დაგეგმვა ხორციელდება შესაბამისი ფაკულტეტისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახურის მიერ და დასამტკიცებლად წარედგინება სენატს.
 - 5.6.1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების კალენდარი მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: სემესტრის დაწყებისა და დასრულების ვადებს, არდადეგებისა და გამოსასვლელი დღეების მითითებას;
 - 5.6.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების კალენდრის საფუძველზე ფაკულტეტის მიერ ხდება სემესტრული სასწავლო პროცესის გრაფიკის შემუშავება, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
 - 5.6.2.1. მეცადინეობათა განრიგი, მეცადინეობის ჩატარების აუდიტორია/ადგილი და სახეობა/ფორმა მიხედვით;

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის "ავთიბეჭდი უზემპლარი". რევიზიის ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsua.edu.ge



- 5.6.2.2. პრაქტიკის დაწყებისა და დასრულების ვადები;
- 5.6.2.3. შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის ჩატარების/გადაბარების ვადები;
- 5.7. სასწავლო - აკადემიური წელი ოცდათვრამეტ (38) კვირიანია. სემესტრი ცხრამეტ კვირიანი (19).
- 5.8. ფაკულტეტის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე სემესტრი შესაძლებელია განსაზღვროს ამ მუხლის 5.7. პუნქტით განსაზღვრული ვადებისგან განსხვავებულად, მაგრამ არაუმეტეს ორმოცდახუთი (45) კვირისა;

6. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

- 6.1. სემესტრული რეგისტრაციის შედეგების საფუძველზე ფაკულტეტი ახდენს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, რაც გულისხმობს: კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრას, სამუშაო ჯგუფების შექმნას, შეფასებასა და სასწავლო დატვირთვების განაწილებას.
- 6.2. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის ფაკულტეტი შეიმუშავებს სასწავლო მეცადინეობათა ცხრილს, რომელსაც სემესტრის დაწყებამდე ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი. დამტკიცებული მეცადინეობათა ცხრილი, უნდა განთავსდეს საზღვაო აკადემიის სასწავლო კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე, ასევე ელექტრონულ ჟურნალში;
- 6.3. მეცადინეობათა ცხრილის შემუშავება წარმოებს საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) და ოპერატიული სასწავლო გეგმების საფუძველზე, სემესტრულად და მასში მითითებულია სასწავლო დისციპლინის დასახელება, პედაგოგის ვინაობა, მეცადინეობის სახე და აუდიტორია, სადაც ტარდება მეცადინეობა;
- 6.4. მეცადინეობის/ლექციის ხანგრძლივობა შეადგენს 50 წუთს, მეცადინეობებს შორის შესვენების ხანგრძლივობა 10 წუთს;

ND 2-F04
სტატუსი:
რევიზია № 2
რევიზიის თარიღი 27.02.2018
მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეგვიზიტი „აღრიცხული ეგზემპლარი“. რეგვიზიტი ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsua.edu.ge



7. ელექტრონული ჟურნალი

- 7.1. სტუდენტთა აკადემიური აქტიურობის აღრიცხვის ჟურნალი არის სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების მონაცემთა ელექტრონულად დაფიქსირების სივრცე (სტუდენტის დასწრება, შუალედური გამოკითხვები/შუასემესტრული შემოწმებები, მისი აქტიურობა, საშინაო დავალების შესრულება, საბოლოო გამოცდა და სხვა), რომელიც ასახავს მის აკადემიურ მოსწრებას;
- 7.2. ელექტრონული ჟურნალი სტუდენტის საბოლოო შეფასების საფუძველია, მასში შეტანილი მონაცემები ეფუძნება უტყუარობის და სხვა მონაცემებთან უპირატეოსში პრინციპს. აკადემიური და მოწვეული პედაგოგიური პერსონალი ვალდებულია აწარმოოს ელექტრონული ჟურნალი;
- 7.3. ელექტრონული ჟურნალი ასევე გამოიყენება პროფესორ-მასწავლებელთა მიერ შესრულებული სამუშაოს აღრიცხვის მიზნით;

8. შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზება, ჩატარება და სტუდენტთა მიღწევების შეფასება

- 8.1. სტუდენტთა მიღწევების შეფასება უწყვეტი და სწავლების სრული ციკლის თანამდევი პროცესია. სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტისთვის შეფასება მიმდინარეობს მთელი სემესტრის მანძილზე. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება, ის წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.
- 8.2. სტუდენტის სემესტრული შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
 1. შუალედურ შეფასებას;
 2. დასკვნითი გამოცდის შეფასებას;
- 8.3. შეფასების თითოეულ კომპონენტს მინიჭებული აქვს ქულების გარკვეული რაოდენობა.

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის "აღრიცხული ეგზემპლარი". რევიზიის ასლზე დაიტანება პრიორიტეტული პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge



- 8.4. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 50%-ს.
- 8.5. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.
- 8.6. სტუდენტის საგამოცდო შეფასების პროცესის ორგანიზება, შეფასების კრიტერიუმები, გამოცდების ჩატარების წესი, მიმდინარეობა, გამოცდის შედეგებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრება და შეფასების წესი გაწერილია საზღვაო აკადემიის შიდა ნორმატიულ დოკუმენტში ND 2-F06 – „გამოცდების ჩატარების და შეფასების პროცედურა“.
- 8.7. სტუდენტს უფლება აქვს შუალედური შეფასების ნებისმიერი კომპონენტი (სემინარი, ჯგუფში მუშაობა, პროფესორის/მასწავლებლის მიერ გაკეთებული შეფასება) გასაჩივროს დეკანისთვის განცხადების წარდგენის გზით, რომელიც უფლებამოსილია დასაბუთებული უარი უთხრას სტუდენტს ან შექმნას კომისიის პრეტენზიის განცხადების მიზნით.

9. სასწავლო კომპონენტების განმეორებით ათვისების წესი

- 9.1. სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებსა და თვითდაფინანსების პირობით განმეორებით მოისმინოს ცალკეული სასწავლო კურსები სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ოდენობით;
- 9.2. სტუდენტს უფლება აქვს ერთი და იგივე სასწავლო კურსი აითვისოს მხოლოდ ორჯერ, რომლის შემდეგ სტუდენტი კარგავს აღნიშნული კურსის მესამედის გავლის უფლებას;
- 9.3. სტუდენტს ამ მუხლის 9.1. პუნქტით განსაზღვრული კრედიტების სწავლის საფასური განესაზღვრება შესწავლილი დისციპლინების კრედიტების მოცულობით ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „აღრიცხული ეგ ზემოქმედება“. რევიზიის ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისთვის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsua.edu.ge



- 9.3.1. სემესტრში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის (30 კრედიტის მოცულობით) სრულად გავლის შემთხვევაში საფასური განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით;
- 9.3.2. ცალკეული სასწავლო კურსის შესწავლისას საფასური განისაზღვრება საგნისთვის მინიჭებული კრედიტის შესაბამისად. ერთი კრედიტის საფასური შეადგენს სემესტრული სწავლის საფასურის ოცდამეათედს (1/30);

10. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი

- 10.1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი. ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს, დადგენილი წესის თანახმად, ანიჭებს ბათუმის საზღვაო აკადემიის ფაკულტეტის საბჭო, რომლის წარდგინების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს კვალიფიკაციის მინიჭების და შესაბამისი დიპლომის გაცემის თაობაზე;
- 10.2. აკადემიური ხარისხს ადასტურებს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მიერ ხელმოწერილი და აკადემიის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.
- 10.3. აკადემიური პროგრამის დასრულებისა და მიღწეული შედეგების შესაბამისად, საზღვაო აკადემია მიღწეული წარმატებების მიხედვით კურსდამთავრებულებს ანიჭებს ორი კატეგორიის დიპლომს:
 - 10.3.1. წარჩინების დიპლომი - დიპლომის საშუალო ქულა (GPA) 3,5 და მეტი;
 - 10.3.2. ჩვეულებრივი დიპლომი - დიპლომის საშუალო ქულა (GPA) 3,5 -ზე ნაკლები;



11. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

11.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება გახდეს:

- 11.1.1. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლა.
- 11.1.2. ფინანსური დავალიანება;
- 11.1.3. პირადი განხადება;
- 11.1.4. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა ნაკლებად მძიმე, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.
- 11.1.5. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზით, სათანადო დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე;
- 11.1.6. სხვა რაიმე მიზეზით, რომელიც წინააღმდეგობაშია საქართველოს კანონთან „უმაღლესი განათლების შესახებ“ და საზღვაო აკადემიის შინაგანაწესის მოთხოვნებთან;
- 11.1.7. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მონაცემები შეტანილი იქნება სტუდენტთა რეესტრში;

12. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

12.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- 12.1.1. პირადი განცხადება;
- 12.1.2. საქართველოს კანონმდებლობით და აკადემიის მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა;
- 12.1.3. პირს, რომელსაც შეუწყდა სტუდენტის სტატუსი არ უბრუნდება სწავლის გადახდილი საფასური.
- 12.1.4. მობილობის წესით სხვა სასწავლებელში გადასვლა;
- 12.1.5. სტატუსის შეჩერება 5 წლის განმავლობაში;
- 12.1.6. ერთი და იგივე სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერ ათვისება

ND 2-F04
სტატუსი:
რეგიზია № 2
რეგიზიის თარიღი 27.02.2018
მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეგვიზიტი „აღრიცხული ეგ ზემბლარი“. რეგვიზიტი ასლზე დაიტანება პრიცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge



13. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

- 13.1. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია, როგორც იმავე აკადემიური პროგრამის ფარგლებში ასევე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;
- 13.2. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში უნარჩენდება სწავლის გადახდილი საფასური და ჩათვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები, რომლის რეზერვაციაზე პასუხისმგებელია სტუდენტის პირადი საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტი;
- 13.3. სტუდენტის სტატუსის აღდგენის მოთხოვნით სტუდენტს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს რექტორს ნებისმიერ დროს სტუდენტთა მობილობისათვის გამოცხადებულ ვადებში. განცხადებაში უნდა მიეთითოს სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებათა დასრულების შესახებ და თან დაერთოს შესაბამისი მტკიცებულებითი დოკუმენტაცია;
- 13.4. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელშიც მიეთითება ათვისებული კრედიტების რაოდენობა, სწავლის გაგრძელების სემესტრი;

14. სტუდენტთა მობილობა

- 14.1. სტუდენტთა მობილობა საზღვაო აკადემიაში განიხილება, როგორც ფუნდამენტალური პროცესი და რეგულირდება შიდა ნორმატიული დოკუმენტით ND 2-F02 „სტუდენტთა რეგისტრაციის და მობილობის პროცესის პროცედურა „, რომელის შემუშავებულია ნაციონალური მარეგულირებელი კანონმდებლობით, კერძოდ:
 - 1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
 - 2. საქართველოს განათლებისა მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ;
 - 3. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება №10/ნ 04.02. 04. 2010წ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა

ND 2-F04
სტატუსი:
რევიზია № 2
რევიზიის თარიღი 27.02.2018
მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „აღრიცხვითი ეგზემპლარი“. რევიზიის ასლზე დაიტანება პრივისტის პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge



უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ;

- საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება №120/ზ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ ND 1-01-08;

15. სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარება

- სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარების მიზნით თავსებადობის შესახებ დასკვნას ამზადებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. ათანხმებს მას კურიკულუმის კომიტეტთან და გადასცემს დეკანს შემდგომი რეაგირებისთვის;
- სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარება ხორციელდება მობილობის, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების ან სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში.
- თუ საბაკალავრო პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის სახელწოდება მცირედით განსხვავდება დაწესებულების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის კომპონენტისაგან, თუმცა შინაარსობრივად, ასათვისებელი კვალიფიკაციების მიხედვით იდენტური ან თითქმის იდენტურია, ის შეიძლება იქნას აღიარებული შესაბამისი დარგის აკადემიური თანამდებობის პირის ან მოწვეული სპეციალისტის მიერ წერილობითი დასკვნის საფუძველზე;
- წინა პუნქტის გათვალისწინებით, თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები იდენტურია დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, მისი აღიარება ხდება ავტომატურად;
- მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები მეტია, ვიდრე აკადემიაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, სტუდენტს უღიარდება კრედიტები არსებული პროგრამის მიხედვით;
- მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები ნაკლებია ვიდრე აკადემიაში მოქმედი

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიტი „აღრიცხული ეგზემპლარი“. რევიზიტი ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsua.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, სტუდენტს უღიარდება კრედიტები პროგრამის მიხედვით, თუმცა არაუმეტეს 3 კრედიტისა. მეტი სხვაობის შემთხვევაში სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირი განსაზღვრავს სხვაობის აღმოფხვრისთვის აუცილებელ საუდიტორიო დატვირთვას სილაბუსის შინაარსის მიხედვით;

15.7. წინა პუნქტებიდან გამონაკლისები შესაძლოა დაშვებულ იქნას პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციით, ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის მოტივირებული დასკვნის საფუძველზე აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, თუმცა აღიარებულ და ასაღიარებელ კრედიტებს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 2 კრედიტს.

16. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები-მოთხოვნები ჯანმრთელობასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე

16.1. იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებზეც ჩარიცხვის წესი არ მოითხოვს განსაკუთრებულ მოთხოვნებს ჯანმრთელობის მიმართ, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ჩარიცხვის შემთხვევაში საზღვაო აკადემია სამედიცინო სამსახურის ორგანიზებით მართავს კონსულტაციებს სტუდენტთან და პრაქტიკის ობიექტთან, საბაკალავრო პროგრამის სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობის არსებობისა და პირობების უზრუნველყოფის მიზნით.



17. საბაკალავრო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ამ პროგრამებზე ჩარიცხული ბაკალავრების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმი

- 17.1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:
 - 17.1.1. პროგრამის შეცვლა მანამდე, ვიდრე სტუდენტი დაასრულებს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების სრულად მოპოვებას;
 - 17.1.2. პროგრამის გაუქმება მანამდე, ვიდრე სტუდენტი მოიპოვებდეს პროგრამით გათვალისწინებულ აკადემიურ ხარისხს;
 - 17.1.3. უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში.
- 17.2. აკადემიური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით.
- 17.3. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში, საზღვაო აკადემიის სტუდენტები ჩაითვლებიან სტატუსშეჩერებულ პირებად და აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხულ ყველა სტუდენტზე ვრცელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პირობები.
- 17.4. აკადემიური პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს საზღვაო აკადემიის სტატუსის შეცვლით ან სხვა ობიექტური მიზეზებით, გაუქმებულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები სარგებლობენ სტუდენტის სტატუსით და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით:
 - 17.4.1. სარგებლობენ მობილობის უფლებით დადგენილი წესების შესაბამისად;

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეგიონი „აღრიცხული ეგ ზემოქართი“. რეგიონი ასლზე დაიტანება პროცესზე ასსუსისმცემელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური ასსუსისმცემლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge



- 17.4.2. საზღვაო აკადემია თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში ხელს უწყობს სტუდენტს სწავლის გაგრძელებაში, რისთვისაც: გემის ელექტრომექანიკა, გემის მექანიკა და საზღვაო ნავიგაცია პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში სტუდენტებს სთავაზობს ამ მიმართულებით მოქმედ თავსებად სხვა აკადემიურ პროგრამებზე სწავლის გაგრძელებას შეცვლილი ან გაუქმებული პროგრამების ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარებით;
- 17.4.3. აღდებულია სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის გააფორმოს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შეთანხმება და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს
- 17.5. ერთიანი ეროვნული გამოცდებით პირველ კურსზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის გამოცხადებული პროგრამის არ ამოქმედების შემთხვევაში საზღვაო აკადემია ვალდებულია:
- 17.5.1. შესთავაზოს სტუდენტს უნივერსიტეტში სხვა თავსებად აკადემიურ პროგრამებზე სწავლის გაგრძელება და პიროვნების, გამოცდების ეროვნული ცენტრის და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული თანხმობის საფუძველზე ჩარიცხოს სტუდენტად შეთავაზებულ პროგრამაზე.
- 17.5.2. გონივრულ ვადაში დახმარებისათვის მიმართოს სტუდენტისათვის საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს.
- 17.5.3. შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში საზღვაო აკადემია იხსნის პასუხისმგებლობას.

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაგუბრი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიები „აღრიცხული ეგზემპლარი“. რევიზიები ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



18. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, საჯარო დაცვა/განხილვისა და შეფასების წესი

1. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ შესრულებულ შემაჯამებელ აკადემიური ხასიათის წერით სამუშაოს, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა აკადემიური პროგრამის დასრულების დასკვნით ეტაპზე და დაიცვას საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე, საჯარო დაცვის გზით სხდომაზე.
2. ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონის, შემოქმედებითი და კვლევითი ლიტერატურაზე მუშაობის, მსჯელობის, დასაბუთებულად წარმოდგენის ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
3. საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.
4. ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი ფაკულტეტის მიერ გამოყოფილი აკადემიური პერსონალიდან, რაც მტკიცდება შესაბამის აკადემიურ დეპარტამენტში საოქმო რეგისტრაციის გზით.
5. ნაშრომის ხელმძღვანელი რეგულარულ კონსულტაციას და ზედამხედველობას უწევს სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ლიტერატურის დამუშავებაში. ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, გამოთქვამს შენიშვნებს და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში ეხმარება სტუდენტს მის კორექციაში. ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს დასკვნას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ნაშრომზე წერილობით თანხმობის წარწერით, რომ ნაშრომი აკმაყოფილებს მის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს და დაიშვება საჯარო დაცვაზე.
6. საბაკალავრო ნაშრომი უნდა იყოს 10 კრედიტი.
7. საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობას წარმოადგენს ის სასწავლო კურსი, რომელსაც ესადაგება ნაშრომის თემატიკა. იმ შემთხვევაში თუ ნაშრომის თემა ინტერდისციპლინურია იმ სასწავლო კომპონენტებს, რომელსაც მოიცავს ნაშრომი.
8. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება საბაკალავრო ნაშრომის შემფასებელი კომისია, რომელიც უნდა შედგებოდეს სულ მცირე 5 წევრისაგან, კომისიის წევრები ამოწმებენ ინდივიდუალურად ნაშრომებს, საბოლოო შედეგები მიიღება

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის "აღრიცხვითი ეგზემპლარი". რევიზიის ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge



- კომისიის წევრთა შეფასების გათვალისწინებით საშუალო არითმეტიკულით და შედეგებზე დგება საბოლოო ოქმი.
9. კომისიას წარედგინება საბაკალავრო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი.
 10. ნაშრომის საჯარო დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება შემდეგი კომპონენტებით:
 - ხელმძღვანელის დახასიათება არაუმეტეს 5 წუთი;
 - სტუდენტის პრეზენტაცია/შესავალი სიტყვა - არაუმეტეს 10 წუთი;
 - კითხვა პასუხი - არაუმეტეს 10 წუთი;
 - დასკვნითი სიტყვა - არაუმეტეს 5 წუთი.
 11. დაცვის პროცესში ბაკალავრს შეუძლია საილუსტრაციო მასალის გამოყენება.
 12. დიპლომის დანართში საბაკალავრო ნაშრომი აისახება, როგორც ცალკე სასწავლო კომპონენტი.
 13. დაცვის საპატიო მიზეზით გადავადება შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, დეკანის გადაწყვეტილებით მოთხოვნის საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით.

19. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესი

1. საბაკალავრო ნაშრომი უნდა იყოს შესრულებული A4 ზომის ქაღალდზე, მოცულობით არა ნაკლებ ნაბეჭდი 30 გვერდისა. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს სტანდარტული შრიფტით (AcadNusx, Litnusx, Sylfaen.) ნაშრომის ძირითადი ტექსტის ზომა - 12, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 14. სტრიქონებს შორის მანძილი 1,5; გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ.
2. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:
 - **თავფურცელი** - საბაკალავრო ნაშრომის პირველი გვერდი (იხ. დანართი 1);
 - **ანოტაცია** - (არაუმეტეს ერთ გვერდზე) უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას;
 - **სარჩევი** - საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს. მასში უნდა აისახოს ნაშრომის ყველა თავის, ქვეთავისა და პარაგრაფის დასახელება გვერდების ნომრების მითითებით. გვერდების ნომრები განთავსდება მარჯვენა მინდორთან.

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის "აღრიცხვითი ეგზემპლარი". რევიზიის ასლებზე დაიტანება პრიორიტეტული პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsua.edu.ge



- **შესავალი** - ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალურობა, მიზნები და დასმული ამოცანა (ამოცანები); საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები (ექსპერიმენტული კვლევის შემთხვევაში);
- **ნაშრომის ძირითადი ნაწილი** - შეიძლება დაიყოს თავებად და პარაგრაფებად; ნაშრომს შეიძლება დაერთოს სქემები, ცხრილები, ნახაზები.
- **დასკვნა** - უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის შედეგებს;
- **გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა** - წარმოდგენილი უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ მიეთითება გამოცემები ქართულ ენაზე. შემდეგ კი უცხო ენებზე. სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას სახელდება ავტორის გვარი და ინიციალები (ავტორების), ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, გვერდები. წიგნის ან მონოგრაფიის მითითების შემთხვევაში ჯერ სახელწოდება, შემდეგ ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, გამომცემლობა, გამოცემის წელი.
- **ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში** მიეთითება: მასალის ავტორი, ვებ-გვერდის ავტორი, მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით, ვებ-გვერდის მისამართი, მასალის მოძიების თარიღი.
- **ნაშრომის ყველა გვერდი** უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის გამოტოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. ინომრება ყველა გვერდი გარდა თავფურცელისა.
- **ლიტერატურის ციტირება** უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში (როგორც წესი აბზაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში არაბული ციფრებით. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნეს მოყვანილი ნაშრომის ბოლოს.
- **სქოლიო** შეიძლება განთავსდეს გვერდის ბოლოს, შრიფტის ზომა 10pt. ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით.
- **დანართები** (საჭიროების შემთხვევაში). დანართში განთავსდება ცხრილები, ნახაზები, პროგრამები, გაანგარიშებები, დიაგრამები და ა.შ.
- **სახელისუფლებო დოკუმენტების** გამოყენების შემთხვევაში: ქვეყნის დასახელება, უწყების დასახელება რომელთაც ეკუთვნის დოკუმენტი, დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი) წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა დოკუმენტი, დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წელის მინიშნებით.

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის "აღრიცხვითი ეგზემპლარი". რევიზიის ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge



20. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება

1. საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას ახორციელებენ ნაშრომის მეცნიერ-ხელმძღვანელი და შემფასებელი კომისიის წევრები;
2. ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების ხვედრითი წილი 100 ქულიდან შეასდგენს 30 ქულას, ხოლო დანარჩენილ შეფასებას ახორციელებს შემფასებელი კომისია.
3. ნაშრომის მეცნიერ-ხელმძღვანელის შეფასების კრიტერიუმებია:

№	კრიტერიუმი	ქულა
1	კომუნიკაცია მეცნიერ-ხელმძღვანელთან	0-5 ქულა
2	დროის მენეჯმენტი	0-5 ქულა
3	მუშაობა წყაროსთან	0-10 ქულა
4	ცოდნა, მასალების ფლობა ნაშრომის თემატიკის გარშემო	0-10 ქულა
5	სულ	30 ქულა

1. შემფასებელი კომისიის წევრების შეფასების კრიტერიუმებია:

№	კრიტერიუმი	ქულა
1	პრეზენტაცია მომზადებულია სრულფასოვნად, თვალსაჩინოებით და თეზისურად	0-5 ქულა
2	ნაშრომის სტრუქტურა	0-5 ქულა
3	თემატიკის გარშემო აკადემიური ინფორმაციის ფლობა	0-15 ქულა
4	წყაროების ადეკვატური გამოყენება,	0-15 ქულა

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის რეგისტრის "აღრიცხვითი ეგზემპლარი". რევიზიის ასლზე დაიტანება პრიორიტეტული პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge



	სქოლიოს გამართულობა ნაშრომში	
5	მსჯელობს აკადემიურად გამართულად და დასაბუთებულად	0-15 ქულა
6	პასუხობს კითხვებზე დამაჯერებლად და დასაბუთებულად	0-15 ქულა
	დისკუსიაში მონაწილეობს კონსტრუქციულად და სხვისი აზრის პატივისცემის	70 ქულა

2. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება მიიღება მეცნიერ-ხელმძღვანელის და შემფასებელი კომისიის შეფასების ჯამით, არც ფორმდება შესაბამის უწყისში ჯამური ქულის შეტანით;

3. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% –100%;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გავლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საბაკალავრო ნაშრომი ახლიდან აქვს შესასრულებელი.

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაწილი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის "აღრიცხვითი ეგზემპლარი". რევიზიის ასლზე დაიტანება პრიორიტეტული პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsua.edu.ge



4. საბაკალავრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტი ან ხელახალა ასრულებს ნაშრომს ან უფლება აქვს შეარჩიოს ახალი თემა, ხელმძღვანელი და საბაკალავრო ნაშრომი დაიცვას კომისიის წინაშე მომდევნო სასწავლო წელს.

5. სტუდენტს დამატებით საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (21-ე კვირა). საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

21. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექზემპლარს) განთავსებულია www.office.bsma.edu.ge
3. დოკუმენტის აღრიცხული ექზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით;

ND 2-F04

სტატუსი:

რევიზია № 2

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებდა არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „აღრიცხული ექზემპლარი“. რევიზიის ასლზე დაიტანება პრიორიტეტული პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ფაკულტეტი რომელზეც სრულდება საბაკალავრო ნაშრომი

სტუდენტის სახელი და გვარი

აკადემიის ლოგილოგო

საბაკალავრო ნაშრომის

თემის დასახელება

მეცნიერ ხელმძღვანელის სახელი და გვარი აკადემიური თანამდებობა ან აკადემიური ხარისხის

ბათუმი
წელი

ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა)

ND 2-F04
სტატუსი:
რევიზია № 2
რევიზიის თარიღი 27.02.2018
მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეგვიზიტი „აღრიცხული ეგ ზემოლარი“. რეგვიზიტი ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით.
წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი
იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsua.edu.ge